

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23 2015 წლის 29 დეკემბერი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 დეკემბრის №44 დადგენილება (ვებგვერდი, 25/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.134.016163).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	9 771 678	9 195 199	576 479	7 610 202	7 058 000	552 202	9 070 691	9 070 691	0
გადასახადები	228 757	228 757	0	250 000	250 000	0	400 000	400 000	0
გრანტები	9 084 757	8 508 278	576 479	6 947 102	6 394 900	552 202	8 267 691	8 267 691	0
სხვა შემოსავლები	458 164	458 164	0	413 100	413 100	0	403 000	403 000	0
ხარჯები	6 619 940	6 619 940	0	4 804 904	4 804 904	0	4 956 591	4 956 591	0



შრომის ანაზღაურება	1 818 105	1 818 105	0	1 225 623	1 225 623	0	2 565 200	2 565 200	0
საქონელი და მომსახურება	574 563	574 563	0	579 954	579 954	0	1 034 270	1 034 270	0
პროცენტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
სუბსიდიები	2 103 614	2 103 614	0	2 307 600	2 307 600	0	872 840	872 840	0
გრანტები	0	0	0	274 100	274 100	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	474 393	474 393	0	170 317	170 317	0	110 720	110 720	0
სხვა ხარჯები	1 649 265	1 649 265	0	247 310	247 310	0	373 561	373 561	0
საოპერაციო სალდო	3 151 738	2 575 259	576 479	2 805 298	2 253 096	552 202	4 114 100	4 114 100	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 162 986	2 606 407	556 579	3 460 148	2 907 946	552 202	4 164 100	4 164 100	0
ზრდა	3 230 271	2 673 692	556 579	3 470 148	2 917 946	552 202	4 174 100	4 174 100	0
კლება	67 285	67 285	0	10 000	10 000	0	10 000	10 000	0
მთლიანი სალდო	-11 248	-31 148	19 900	-654 850	-654 850	0	-50 000	-50 000	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-11 248	-31 148	19 900	-661 500	-661 500	0	-50 000	-50 000	0
ზრდა	19 900	0	19 900	0	0	0	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	19 900		19 900	0			0		
კლება	31 148	31 148	0	661 500	661 500	0	50 000	50 000	0
ვალუტა და დეპოზიტები	31 148	31 148	0	661 500	661 500	0	50 000	50 000	0
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0	-6 650	-6 650	0	0	0	0
ზრდა	0			0			0		



კლება	0	0	0	6 650	6 650	0	0	0	0
საშინაო	0	0	0	6 650	6 650	0	0	0	0
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	9 838 963	9 262 484	576 479	7 620 202	7 068 000	552 202	9 080 691	9 080 691	0
შემოსავლები	9 771 678	9 195 199	576 479	7 610 202	7 058 000	552 202	9 070 691	9 070 691	0
არაფინანსური აქტივების კლება	67 285	67 285	0	10 000	10 000	0	10 000	10 000	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0			0			0		
ვალდებულებების ზრდა	0			0			0		
გადასახდელები	9 850 211	9 293 632	556 579	8 281 702	7 729 500	552 202	9 130 691	9 130 691	0
ხარჯები	6 619 940	6 619 940	0	4 804 904	4 804 904	0	4 956 591	4 956 591	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 230 271	2 673 692	556 579	3 470 148	2 917 946	552 202	4 174 100	4 174 100	0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	0	0	6 650	6 650	0	0	0	0



ნაშთის ცვლილება	-11 248	-31 148	19 900	-661 500	-661 500	0	-50 000	-50 000	0
-----------------	---------	---------	--------	----------	----------	---	---------	---------	---

მუხლი 3. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9 070 691 ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	9 771 678	9 195 199	576 479	7 610 202	7 058 000	552 202	9 070 691	9 070 691	0
გადასახადები	228 757	228 757	0	250 000	250 000	0	400 000	400 000	0
გრანტები	9 084 757	8 508 278	576 479	6 947 102	6 394 900	552 202	8 267 691	8 267 691	0
სხვა შემოსავლები	458 164	458 164	0	413 100	413 100	0	403 000	403 000	0

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 400 000 ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	228 757	228 757	0	250 000	250 000	0	400 000	400 000	0
საშემოსავლო გადასახადი							200 000	200 000	0
ქონების გადასახადი	228 757	228 757	0	250 000	250 000	0	200 000	200 000	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	182 976	182 976	0	222 000	222 000		168 000	168 000	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	999	999	0	3 000	3 000		2 000	2 000	



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2 187	2187	0	0			0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	42 596	42 596	0	25 000	25 000		30 000	30 000	

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **8 267 691** ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	9 084 757	8 508 278	576 479	6 947 102	6 394 900	552 202	8 267 691	8 267 691	0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	135 235	135 235	0	33 900	33 900		0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 778 543	4 778 543	0	2 700 000	2 700 000	0	4 432 191	4 432 191	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 170 979	3 594 500	576 479	4 213 202	3 661 000	552 202	3 835 500	3 835 500	0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3 594 500	3 594 500	0	3 661 000	3 661 000		3 835 500	3 835 500	
გათანაბრებითი ტრანსფერი	3 594 500	3 594 500	0	3 661 000	3 661 000		3 835 500	3 835 500	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	576 479	0	576 479	552 202	0	552 202	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	544 479		544 479	552 202		552 202	0		
მ.შ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0	0	0	0	0	0	0	0	0



მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	32 000	0	32 000	0			0		
---	--------	---	--------	---	--	--	---	--	--

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 403 000 ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	458 164	458 164	0	413 100	413 100	0	403 000	403 000	0
შემოსავლები საკუთრებიდან	206 927	206 927	0	272 100	272 100	0	212 000	212 000	0
პროცენტები	113 473	113 473	0	120 000	120 000	0	60 000	60 000	0
დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	113 473	113 473	0	120 000	120 000		60 000	60 000	
რენტა	93 454	93 454	0	152 100	152 100	0	152 000	152 000	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	93 404	93 404	0	150 000	150 000		150 000	150 000	
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	50	50	0	2 100	2 100		2 000	2 000	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	41 155	41 155	0	41 000	41 000	0	41 000	41 000	0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	26 545	26 545	0	26 000	26 000	0	26 000	26 000	0
სანებართვო მოსაკრებელი	1 171	1 171	0	1 000	1 000	0	1 000	1 000	0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	0		0	1 000	1 000		1 000	1 000	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	0	0	0	0	0	0	0	0



ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25 374	25 374	0	25 000	25 000		25 000	25 000	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	14 610	14 610	0	15 000	15 000	0	15 000	15 000	0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	14 610	14 610	0	15 000	15 000		15 000	15 000	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	70 182	70 182	0	50 000	50 000		80 000	80 000	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	139 901	139 901	0	50 000	50 000		70 000	70 000	

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4 956 591 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	6 619 940	6 619 940	0	4 530 804	4 530 804	0	4 956 591	4 956 591	0
შრომის ანაზღაურება	1 818 105	1 818 105	0	1 225 623	1 225 623	0	2 565 200	2 565 200	0
საქონელი და მომსახურება	574 563	574 563	0	579 954	579 954	0	1 034 270	1 034 270	0
პროცენტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
სუბსიდიები	2 103 614	2 103 614	0	2 307 600	2 307 600	0	872 840	872 840	0
სოციალური უზრუნველყოფა	474 393	474 393	0	170 317	170 317	0	110 720	110 720	0
სხვა ხარჯები	1 649 265	1 649 265	0	247 310	247 310	0	373 561	373 561	0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 164 100 ლარის ოდენობით, მათ შორის:



ა) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4 174 100 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	52 576	40 476	12 100	164 900	164 900	0	13 200	13 200	0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	199 604	199 604	0	0	0	0	1 500	1 500	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 549 713	2 005 233	544 480	2 528 948	1 976 746	552 202	3 647 863	3 647 863	0
განათლება	417 984	417 984	0	498 300	498 300	0	352 337	352 337	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	10 395	10 395	0	263 000	263 000	0	99 200	99 200	0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	15 000	15 000	0	60 000	60 000	0
სულ ჯამი	3 230 271	2 673 692	556 579	3 470 148	2 917 946	552 202	4 174 100	4 174 100	0

ბ) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების									



კლება	67 285	67 285	0	10 000	10 000	0	10 000	10 000	0
ძირითადი აქტივები	64 733	64 733	0	10 000	10 000	0	10 000	10 000	0
არაწარმოებული აქტივები	2 552	2 552	0	0	0	0	0	0	0
მიწა	2 552	2 552	0	0			0		

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 9 130 691 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 846 010	1 833 910	12 100	1 882 470	1 882 470	0	2 109 591	2 109 591	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 724 123	1 712 023	12 100	1 818 570	1 818 570	0	1 830 600	1 830 600	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 585 123	1 573 023	12 100	1 763 570	1 763 570	0	1 790 600	1 790 600	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	139 000	139 000	0	55 000	55 000	0	40 000	40 000	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	121 887	121 887	0	63 900	63 900	0	278 991	278 991	0
702	თავდაცვა	105 171	105 171	0	58 600	58 600	0	65 000	65 000	0
7021	სამოქალაქო თავდაცვა	105 171	105 171	0	58 600	58 600	0	65 000	65 000	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	470 931	470 931	0	301 600	301 600	0	0	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0	274 100	274 100	0	0	0	0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	470 931	470 931	0	27 500	27 500	0	0	0	0



704	ეკონომიკური საქმიანობა	231 666	231 666	0	756 250	756 250	0	1 408 300	1 408 300	0
7045	ტრანსპორტი	108 921	108 921	0	756 250	756 250	0	1 408 300	1 408 300	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	108 921	108 921	0	756 250	756 250	0	1 408 300	1 408 300	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	122 745	122 745	0	0	0	0	0	0	0
705	გარემოს დაცვა	1 368 061	1 368 061	0	239 000	239 000	0	25 000	25 000	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1 366 670	1 366 670		169 000	169 000	0	0	0	0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 391	1 391	0	70 000	70 000	0	25 000	25 000	0
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	2 418 763	1 874 284	544 480	1 991 502	1 439 300	552 202	2 603 063	2 603 063	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	519 703	519 703	0	391 600	391 600	0	149 700	149 700	0
7063	წყალმომარაგება	913 698	913 698	0	385 400	385 400	0	1 416 113	1 416 113	0
7064	გარე განათება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	985 362	440 882	544 480	1 214 502	662 300	552 202	1 037 250	1 037 250	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	101 998	101 998	0	102 700	102 700	0	180 370	180 370	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	101 998	101 998		102 700	102 700	0	180 370	180 370	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 123 071	1 123 071	0	1 199 400	1 199 400	0	1 115 100	1 115 100	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	459 014	459 014	0	553 000	553 000	0	579 900	579 900	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	523 361	523 361	0	496 400	496 400	0	517 200	517 200	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი	19	19 192	0	0	0	0	0	0	0



	საქმიანობა	192								
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	121 504	121 504	0	150 000	150 000	0	18 000	18 000	0
709	განათლება	1 850 460	1 850 460	0	1 613 700	1 613 700	0	1 536 727	1 536 727	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	769 394	769 394	0	876 800	876 800	0	946 690	946 690	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 081 066	1 081 066	0	736 900	736 900	0	590 037	590 037	0
710	სოციალური დაცვა	334 078	334 078	0	129 830	129 830	0	87 540	87 540	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	28 387	28 387	0	20 000	20 000	0	28 430	28 430	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	305 690	305 690	0	109 830	109 830	0	59 110	59 110	0
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		9 850 210	9 293 632	556 580	8 275 052	7 722 850	552 202	9 130 691	9 130 691	0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -50 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -50 000 ლარის ოდენობით.

ა) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -50 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 40 000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო სამსახური.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული და კულტურული პროგრამები

სპორტულ და კულტურულ პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. პრემიები



2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქედის მუნიციპალიტეტი ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

1.1 სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქედის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლოატაციის ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა

(პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტის სოფლებში 600კმ-ზე მეტი საუბნო საავტომობილო გზაა, რომელთაც მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა 30% ანუ 7000-მდე ბენეფიციარი სარგებლობს, ხშირ შემთხვევებში აღნიშნული გზები არ არის აჭარის საგზაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, ამიტომ რჩება მოუვლელი და ხშირად გაუვალი ხდება, საჭიროა აღნიშნული გზების საფარის აღდგენა და სხვა საგზაო სამუშაოების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების გაწმენდითი სამუშაოები და დამატებით ახალი გზების შეყვანა.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვის დაფინანსება და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, გაგრძელდება დაბისა და თემების ცენტრების დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება და უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველებისაგან დაცვის ღონისძიებები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემას.

2.2.1 შპს ქედის კომუნალურისერვისი(პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის- 615 წერტის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა.

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში



ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 16 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები,

მაწანწალა ცხოველების თავმოყრა დაბასა და თემების ცენტრებში სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.

2.2.2 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პირობითი კოდი 03 02 04)

მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქედის წყალკანალი რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. სულ მუნიციპალიტეტში 12 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს განხორციელდება ხარაულა-ჯალაბაშვილების სასმელი წყლის წყალსადენის და ზესოფელი-ხუნკუდა-გულების სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობა.

2.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში 2016 წელს განხორციელდება უსახური შენობა ნაგებობების დემონტაჟი, აწკისის ცენტრის კეთილმოწყობა, სოფელ ზესოფლის თემის ცენტრის კეთილმოწყობა.

2.2.4 მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზა

(პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3. განათლების დაწესებულებები და ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება ასევე სკოლამდელ განათლება. რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, დაწყებითი სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

3. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1.1 ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი, ხოლო 2016 წელს ექსპლუატაციაში შევა და დაფინანსდება დამატებით 1 საბავშვო ბაღი, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კვება, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.1.2 ბაგა ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია და ინვენტარის შეძენა (პროგრამული კოდი 04 01 02)



ბაგა ბაღებში აღსაზრდელთა მაქიმალურად ჩართვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს დაგეგმილია ოქტომბრის ბაგა ბაღის მშენებლობა და ინვენტარის შეძენა.

4. კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 05 01)

სპორტის განვითარება და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა და არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1 ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლასი მოქმედებს 8 სექცია (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალაბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და რაგბი), სადაც სწავლება უფასოა და 270 ბავშვია სხვა სპორტულ სახეობებში ჩაბმული.

4.1.2 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში 950 ამდე მონაწილე 50 ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. ღონისძიებების ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით თასებით, მედლებით, დიპლომებით, და სხვა ფასიანი საჩუქრებით, აგრეთვე ფულადი საჩუქრებით. დასაჩუქრდებიან წლის წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4.1.3 საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო კლუბ „ბეთლემის“ მხარდაჭერა. კერძოდ ფეხბურთელთა ხელფასები, ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება.

4.1.4 სარაგბო კლუბის მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სარაგბო კლუბ „ფირალეის“ მხარდაჭერა.კერძოდ მორაგბეთა ხელფასები, ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება

4.1.5 მინი სპორტული მოედნების მშენებლობა (2 მოედანი) და რეაბილიტაცია (16 მოედანი) (პროგრამული კოდი 05 01 06 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მშენებლობა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროს ქსელის გაფართოება, არსებულის რეაბილიტაცია და თანამედროვე ღონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. ცალკეულ თემებში და დაბაში კულტურის ახალი კერების შექმნა. არსებული საშუალებების მაქიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.



4.2.1 ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქედის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს რეწვის და თექის წრეები, რომელთაგან 58 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა. თექისა და რეწვის წრეებისათვის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

4.2.2.ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ა.ა.ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა სამი სექციით შემოიფარგლება კერძოდ: 1) საფორტეპიანო. 2) საორკესტრო და 3) ქორეოგრაფიული რომლებშიც სწავლა განათლებას 140 მოსწავლე ღებულობს. საფორტეპიანო სექციაში სწავლება ფასიანია და სწავლის წლიური ღირებულება ერთ მოსწავლეზე 30 ლარს შეადგენს, რომელიც მთლიანად სახელოვნებო სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაახლებას ხმარდება. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2.3 ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი დაარსდა 1999 წელს სადაც თავმოყრილია და გამოფენილია ათასამდე ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატი.საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიური ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეხეკვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები , ასევე მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები, რომლებიც ადგილობრივი რეწვის ოსტატობის ნიმუშებს წარმოადგენს. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 1000 დან 1200 მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი ყოველივე, აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს.

4.2.4 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შობა-ახალი წლის დღესასწაულის, სხვა ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, რაიონის და საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა; ქედელობისა და მერისლობის დღესასწაულების ღირსეულად აღნიშვნა; რაიონის წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სტიმულირება შემდგომი მუშაობისათვის, საინტერესო პროექტების ხელშეწყობა; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომელთაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დააჩინა ქედის ისტორიას; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების პოპულარიზაცია; კონცერტების ორგანიზება ქართული ანსამბლების და ინდივიდუალური მომღერლების მონაწილეობით და სხვა კულტურული ღონისძიებები;

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.1 ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით



და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება

5.1.1. ეპილევსიით დაავადებულთა სფეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 01)

ეპილევსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილევსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილევსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით.

ამ ასპექტის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი მე-4 წელია ახორციელებს ეპილევსიით დაავადებულთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამას, რომლითაც 79 ბენეფიციარი სარგებლობს.

5.1.2. ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 02)

მუნიციპალიტეტის თემის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების დროული აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 8 ამბულატორიის ტრანსპორტითა და ამბულატორიების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებით უზრუნველყოფა.

5.1.3 ამბულატორიებისათვის ავტომანქანის შეძენა (პირობითი კოდი 06 01 03 06)

აღნიშნული ღონისძიებით მოხდება 2 ავტომანქანის შეძენა, რითაც სრულად მოხდება მუნიციპალიტეტში ამბულატორიების ტრანსპორტით აღჭურვა.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა (პირობითი კოდი 06 02 01)

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში უმწეოთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედაში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტინგენტის 26 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული "სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში" და მიენიჭათ 70 000-მდე სარეიტინგო ქულა.

მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიდადში 364 დღის) განმავლობაში.

5.2.2 ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება. (პირობითი კოდი 06 02 02)

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს, კერძოდ ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ადგილობრივმა თვითმართველობამ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა



ოჯახის წევრებისათვის შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას და გარკვეული ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის „ომისა და შეარადებლი ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა ბ“ პუნქტები, 21-ე მუხლის „1,2,3“ პუნქტები და 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“.

5.2.4 ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პირობითი კოდი 06 02 04)

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს არსებული დემოგრაფიული პრობლემების პირობებში აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებია, აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება რომელიც ერთ ბენეფიციარზე ერთჯერადად 1000 ლარით დახმარებას გულისხმობს;

5.2.5. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა(პირობითი კოდი 06 02 05)

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიზნით ქვეყანაში შემუშავდა და ხორციელდება სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში მონაწილე თითოეული პირისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას და უფასო სამედიცინო მომსახურების დახმარების პაკეტს. 0-დან 70 000 ქულის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტში დამატებით შეიმუშავებულია ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში 250 ლარით ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

5.2.7 ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა(პირობითი კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით, (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანსს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწყვეტ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. ქედის მუნიციპალიტიდან 9 ბენეფიციარი მკურნალობს, პროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე.

თავი III

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
1	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებანი	9 850 210	9 293 632	556 579	8 281 702	7 729 500	552 202	9 130 691	9 130 691	0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	106	106	0	107	107	0	447	447	0
	ხარჯები	6 619 940	6 619 940	0	4 804 904	4 804 904	0	4 956 591	4 956 591	0



	შრომის ანაზღაურება	1 818 105	1 818 105	0	1 225 623	1 225 623	0	2 565 200	2 565 200	0
	საქონელი და მომსახურეობა	574 563	574 563	0	579 954	579 954	0	1 034 270	1 034 270	0
	სუბსიდიები	2 103 614	2 103 614	0	2 307 600	2 307 600	0	872 840	872 840	0
	გრანტები	0	0	0	274 100	274 100	0	0	0	0
